შ.პ.ს. სი დი აი კომპანია
CDI Company ltd

001/06/14

19 ივნისი 2014 წ

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს

მოგახსენებთ, რომ ჩვენი კომპანია აწარმოებს ქ. თბილისში ჭოველიძის ქ. 8-ში დაწყებული და შემდგომში შეჩერებული ამხანაგობა "პალადი ვერა"-ს საცხოვრებელი სახლის დასრულების სამუშაოებს. ჩვენი ფირმა ამხანაგობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ახორციელებს ინვესტიციას და ამით სრულად უზრუნველყოფს შენობის დასრულებასა და მის ექსპლოატაციაში გაშვებას.

ჩვენი მოთხოვნისა და შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისის მერის 2013წ. 06 აგვისტოს № 1660 განკარგულებით K2-კოეფიციენტი გაიზარდა 7.2 – მდე, რომელიც ჩვენი მხრიდან ითვალისწინებს მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებას 401 165 ლარის ოდენობით, რა თქმა უნდა ჩვენ თანახმა ვართ აღნიშნული თანხის გადახდაზე და სათანადო გრაფიკიც წარმოდგენილი გვაქვს არსებული წესის შესაბამისად, რომელიც ადგენს მოსაკრებელი თანხის გადახდას 2014წ. 01 აგვისტოს.

იმის გათვალისწინებით, რომ დღემდე ფაქტიურად ვერ მოვახერხეთ აღნიშნული კოეფიციენტით სარგებლობა და აქამდე ასევე ვერ მოხერხდა ასაშენებელი პროექტის შეთანხმება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გთხოვთ გადაგვივადოთ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება 1 წლის ვადით, რისთვისაც გიგზავნით ახალ შესწორებულ გადახდის გრაფიკს.

დანართი: მოსაკრებლის გადახდის განმარტებითი ბარათი – 1ფ.

შპს "სი დი აი კომპანი"-ის

დირექტორი ზ. კურცხალია

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში მთაწმინდის რაიონში ჯოველიძის ქ. №8-ში საცხოვრებელი სახლის შენობის ახაშენებლად სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ანგარიში.

"ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს საცხოვრებელ ზონას სზ-5. სადაც მიწის ნაკვეთის ფართია 470.0კვმ სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით და ქ. თბილისის მერის 2013 წ 06 აგვისტოს №1660 განკარგულებით ტერიტორიას მიენიჭა კ2=7.2

მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა შემდეგი ინსტრუქციის მიხედვით

$$L/ K_2[K`_2-(K_2 + 20\%შელავათი)] X S$$ სადაც

L – მიწის ნორმატიული ფასი 1კვმ-ზე – 383 ლარი

K_2 – მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – 2.1

$K`_2$ – მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – 7.2

S – მიწის ნაკვეთის ფართი – 470.0 კვმ

ზ.აღნიშნულიდან გამომდინარე:

$$383/2.1[7.2–(2.1 + 0.42)] X 470 = 401\ 165$$

სულ: – 401 165 ლ.

მოსაკრებლის თანხა შეადგენს 401 165 (ოთხას ერთი ათას ას სამოცდა ხუთი) ლარს.

აღნიშნული თანხის გადახდის თარიღი: 01 აგვისტო 2015 წ.

აქედან 177 615ლარს გადაიხდის ამხანაგობა "პალადი ვერა," ხოლო დარჩენ თანხას 223 550 ლარს გადიხდის შ.პ.ს. "CDI company" 01. აგვისტო 2015 წ.

შ.პ.ს. "CDI company" – დირექტორი

მ. კურცხალია

ამხანაგობა "პალადი ვერა"- თავმჯდომარე

ე. მ[illegible]ძე